

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1065 (1996)

**1996 წლის 12 ივლისი**

გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელების შესახებ უშიშროების საბჭო,

კვლავ ადასტურებს რა მის ყველა შესაბამის რეზოლუციას, განსაკუთრებით კი, 1996 წლის 12 იანვრის 1036 (1996) რეზოლუციას,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1996 წლის 1 ივლისის ანგარიში (S/1996/507 ანდ ადდ 1);

ღრმა შეშფოთებით აღნიშნავს რა, რომ აფხაზთა უკომპრომისო პოზიციის გამო, მხარეებმა ჯერ კიდევ ვერ გადალახეს უთანხმოებანი და ხაზს უსვამს რა მათი მცდელობების დაუყოვნებელი გააქტიურების აუცილებლობას გაეროს ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის, როგორც შუამავლის ხელშეწყობით, რათა მიღწეულ იქნას კონფლიქტის დროული და ყოველმხრივი მოწესრიგება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით,

კვლავ ადასტურებს რა მხარეთა მიერ ადამიანის უფლებების მკაცრად დაცვის აუცილებლობას და გამოხატავს რა გენერალური მდივნის მცდელობების მიმართ მხარდაჭერას, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისკენაა მიმართული, როგორც ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის მუშაობის განუყოფელი ნაწილი;

ითვალისწინებს რა, რომ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ (S/1994/583, ანნეხ 1), დსთ კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელშეწყობით, მხარეების მიერ მთლიანობაში დაცულია,

მადლიერებით აღნიშნავს რა კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ სამშვიდობო ძალების ღვაწლს და ხაზს უსვამს რა მათი შესაბამისი მანდატების გარხორციელებისას მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას,

ღრმად შეშფოთებულია რა გალის რაიონში უსაფრთხოების პირობების, ადგილობრივი მოსახლეობის, უკან მომავალ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ სამშვიდობო ძალების მუშაკთა დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით მდგომარეობის გაუარესებით;

შეახსენებს რა მხარეებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის უნარიანობა, ხელი შეუწყოს მათ, დამოკიდებულია მათსავე პოლიტიკურ ნებაზე მოაგვარონ კონფლიქტი დიალოგისა და ურთიერთთანხმობის მეშვეობით;

ითვალისწინებს რა დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა 1996 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებას (S/1996/371 ანნეხ 1),

ითვალისწინებს რა, რომ დსთ სახელმწიფოს მეთაურები განიხილავენ დსთ სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას 1996 წლის 19 ივლისის შემდგომ პერიოდში,

1. იწონებს გენერალური მდივნის 1996 წლის 1 ივლისის ანგარიშს;

2. გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველოში, კონფლიქტის ყოველმხრივი მოგვარების მცდელობების უმოქმედობის მიმართ;

3. კვლავ ადასტურებს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერას და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას ამ პრინციპების მიხედვით და ხაზს უსვამს აფხაზი ლიდერების მხრიდან ამ პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებების მიუღებლობას;

4. კვლავ ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას გენერალური მდივნის და მისი საგანგებო წარმომადგენლის მცდელობებისადმი, რომლებიც კონფლიქტის ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისკენაა მიმართული საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში; ასევე მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის, როგორც შუამავლის, მცდელობას, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენაა მიმართული და მიესალმება გენერალური მდივნისა და რუსეთის ფედერაციის, როგორც შუამავლის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შემდგომ ძალისხმევას ამ მიმართულებით;

5. მოუწოდებს მხარეებს, განსაკუთრებით, აფხაზეთის მხარეს, დაუყოვნებლივ მიაღწიონ მნიშვნელოვან პროგრესს კონფლიქტის ყოველმხრივი პოლიტიკური მოგვარების საქმეში და მოუწოდებს მათ, სრულად შეუწყონ ხელი გენერალური მდივნის იმ ძალისხმევას, რომელსაც იგი ახორციელებს რუსეთის ფედერაციის, როგორც შუამავლის, ხელშეწყობით;

6. კვლავ ადასტურებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას, უსაფრთხო პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 14 აპრილის ოთხმხრივი ხელშეკრულება ითვალისწინებს (S/1994/397 ანნექსი ADD II), გმობს აფხაზთა მხრიდან ასეთი დაბრუნების სისტემატურ ჩაშლას, და ხაზს უსვამს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხის, აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის საკითხთან დაკავშირების მიუღებლობას;

7. მოითხოვს, რომ აფხაზთა მხარემ დაუყოვნებლივ და წინაპირობების გარეშე მნიშვნელოვნად დააჩქაროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი, კერძოდ, მიიღოს განრიგი, რომელსაც საფუძვლად დაედება ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მიერ შემოთავაზებული განრიგი. მის გარდა, მოითხოვს აფხაზთა მხარისაგან უკვე დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოების გარანტირებას და ოთხმხრივი ხელშეკრულების გათვალისწინებით მათი სტატუსის რეგულირებას, კერძოდ, გალის რაიონში.

8. იმოწმებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის გადაწყვეტილებებს (S/1994/1435 ანნექსი) აფხაზეთში, საქართველო, არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას;

9. გმობს ეთნიკური ხასიათის მკვლელობებს და მასთან დაკავშირებულ სხვა ძალადობის აქტებს;

10. გმობს დანაღმვის ფაქტებს გალის რაიონში, რამაც უკვე იმსხვერპლა და დააშავა რამდენიმე ადამიანი სამოქალაქო მოსახლეობას, საერთაშორისო დამკვირვებლებსა და მშვიდობისმყოფელთა შორის, და მოუწოდებს მხარეებს მიიღონ ყველა შესაძლებელი ზომა, რათა არ დაუშვან დანაღმვა, ყოველმხრივ ითანამშრომლონ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებთან და დსთ სამშვიდობო ძალებთან, იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები გაეროს, დსთ სამშვიდობო ძალების და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების ყველა მუშაკის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად;

11. სთავაზობს გენერალურ მდივანს, დანადგვით შექმნილი საფრთხის საპასუხოდ მიიღოს აუცილებელი ზომები უსაფრთხოების პირობების გასაუმჯობესებლად, რათა მინიმალურ დონეზე იქნას დაყვანილი გაეროს დამკვირვებელთა მისიის მუშაკთა საფრთხე და შეიქმნას სათანადო პირობები მისი მანდატის ეფექტიანად განხორციელებისათვის;

12. ადგენს, გააგრძელოს გაეროს დამკვირვებელთა მანდატი 1997 წლის 31 იანვრამდე, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭო დაუბრუნდება დამკვირვებელთა მისიის მანდატის საკითხს, თუ რაიმე ცვლილება მოხდება დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში.

13. გამოხატავს თავის სრულ მხარდაჭერას აფხაზეთში, საქართველო, ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხების ხელშეწყობისათვის კონკრეტული პროგრამის განხორციელების მიმართ და სთხოვს გენერალურ მდივანს, 1996 წლის 15 აგვისტომდე მოახსენოს საბჭოს იმ შესაძლო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნება ადამიანთა უფლებების დაცვის შტაბ-ბინის გასახსნელად სოხუმში;

14. კვლავ მიმართავს სახელმწიფოებს მოწოდებით, შეიტანონ ნებაყოფლობითი შესატანები სპეციალურ ფონდში, რომელიც შექმნილია 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების მოსკოვის ხელშეკრულებისა და ჰუმანიტარული ასპექტების მხარდასაჭერად განადგვინების ჩათვლით, როგორც ეს დონორების მიერ იქნება განსაზღვრული;

15. სთხოვს გენერალურ მდივანს, განიხილოს ტექნიკური და ფინანსური დახმარების საშუალებები, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთის, საქართველო, ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის, პოლიტიკური მოწესრიგების წარმატებით დასრულების შემდგომ პერიოდში;

16. სთხოვს გენერალურ მდივანს, ინფორმირებული ჰყავდეს საბჭო და ამ რეზოლუციის მიღებიდან სამი თვის შემდეგ წარადგინოს ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ოპერაციების ჩათვლით.

17 ადგენს, აქტიურად ადევნოს თვალყური აღნიშნულ საკითხს.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა, # 141, 1996 წლის 17 ივლისი)